

მოწვევა ბაზრის კვლევაში მონაწილეობის მიღების თაობაზე

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და  
სოციალური დაცვის სამინისტრო

აცხადებს ბაზრის კვლევას

კოვიდ-19 ინტენსიური მართვის პროცესში  
პაციენტების სასიცოცხლო მაჩვენებლების შესახებ ინფორმაციის შეგროვების, სისტემატიზაციისა და  
შემდგომი ეფექტური გამოყენებისთვის დამუშავების მიზნით,  
პაციენტების მონიტორინგის ცენტრალური სისტემ(ებ)ის

შესაძლო შესყიდვის შესახებ

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და  
სოციალური დაცვის სამინისტრო, მსოფლიო ბანკის დაფინანსებით მიმდინარე, მსოფლიო ბანკის  
COVID-19-ის წინააღმდეგ სწრაფი რეაგირების პროექტის ფარგლებში გეგმავს **კოვიდ-19 ინტენსიური  
მართვის პროცესში პაციენტების სასიცოცხლო მაჩვენებლების შესახებ ინფორმაციის შეგროვების,  
სისტემატიზაციისა და შემდგომი ეფექტური გამოყენებისთვის დამუშავების მიზნით, პაციენტების  
მონიტორინგის ცენტრალური სისტემ(ებ)ის (Patient Central Monitoring System)** შესყიდვას.

გთხოვთ, შესასყიდი საქონელის სპეციფიკაციები და სატენდერო პროცედურებში მონაწილეობის  
მისაღებად მიმწოდებლისათვის განსაზღვრული ძირითადი მოთხოვნები იხილოთ თანდართულ  
ფაილში და წარმოადგინოთ წინადადება ფაილში მითითებული ფასების ცხრილის ფორმატის  
შესაბამისად.

წინადადებების წარმოდგენის საბოლოო ვადა 28 თებერვალი, 2021 წ.

გთხოვთ, წინადადებები მოგვაწოდოთ შემდეგი ელექტრონული ფოსტის მისამართზე:  
[ngvenetadze@moh.gov.ge](mailto:ngvenetadze@moh.gov.ge) ან [ninokvernadze@moh.gov.ge](mailto:ninokvernadze@moh.gov.ge)

წინასწარ გიხდით მადლობას ბაზრის კვლევაში მონაწილეობის მიღებისთვის!

საკონტაქტო ინფორმაცია: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,  
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

მსოფლიო ბანკის პროექტის განმახორციელებელი ჯგუფი:

ნინო გვენეტაძე - შესყიდვების კონულტანტი.

ტელ: + 995 2 51 00 11 (შიდა ) 05 06

მოთხოვნილი საქონელის ტექნიკური სპეციფიკაციები და სტანდარტები

#	Name of Goods or Related Service საქონელის დასახელება	Technical Specifications and Standards ტექნიკური სპეციფიკაციები და სტანდარტები
1	პაციენტების მონიტორინგის ცენტრალური სისტემა (Patient Central Monitoring System)	<p><b>აპარატურის ტიპი:</b> სისტემა / ტექნოლოგია საჭირო მოწყობილობით</p> <p><b>დანიშნულება</b> - რამდენიმე პაციენტის სასიცოცხლო მონაცემების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და დამუშავება შემდგომი რეაგირებისთვის</p> <p><b>დიზაინი</b> - ქსელური მოწყობილობა, რომელიც თავის მხრივ შეიცავს სენსორებს, დისპლეის ხელსაწყოებს, საპროცესო კომპონენტებსა და საკომუნიკაციო ბმულებს, დაფიქსირებული და გადაამუშავებული მონაცემების რეალურ დროში გამოსახვის, გადაცემისა და შემდგომი გამოყენებისთვის;</p> <p><b>ფუნქცია</b> - სისტემა იღებს განგრძობად ინფორმაციას და მონაცემებს ცალკეულ საწოლებთან დაკავშირებული მონიტორებიდან, ასევე შესაძლოა დაკავშირდეს მოძრავ/სატარებელ და ე.წ. უკონტაქტო მონიტორებთან; სისტემას შეუძლია შეკრიბოს ცალკეული მონიტორების სერიები, და ასევე დაუკავშიროს ისინი სხვა, ცენტრალურ ჰაბს, და/ან სამედიცინო ინფორმაციის მართვის სხვა ცენტრალიზებულ სისტემას ან სისტემებს;</p> <p><b>სეგმენტირება</b> - მაქსიმუმ 66 მონიტორთან დაკავშირების უნარით, რაც ასევე უზრუნველყოფს პერსონალის მიერ ერთდროულად რეალურ დროში 32 პაციენტის მონაცემების ნახვას და მონიტორინგს;</p> <p><b>თავსებადობა / ქსელი</b> - ადვილად გამოსაყენებელი Windows-ზე დაფუძნებული სისტემით და ინტერფეისით, კაბელით და/ან უკაბელოდ მოფუნქციონირე, ასევე LAN ქსელთან თავსებადობით; დისტანციური მართვის რეჟიმით; ასევე, ე.წ. HL7 (Health Level Seven) ინტერფეისით (ჰოსპიტალური დონის ცენტრალურ სისტემასთან დასაკავშირებლად), და ელექტრონული სამედიცინო მონაცემების (EMR – Electronic Medical Records) სხვა ცენტრალურ სისტემებთან დაკავშირების და მონაცემების შესაძლო მიმოცვლის უნარით.</p> <p><b>სხვა უნარები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>- თითოეული პაციენტის 240 საათი ხანგრძლივობის ინფორმაციის და 30 000 პაციენტის ისტორიული მონაცემების შენახვის უნარი;</li> <li>- სხვადასხვა კლინიკურ გარემოსთან - გადაუდებელი, ოპერაციისწინა, ანესთეზიის შემდგომი, ამბულატორიული, ტრანსპორტირებისა და ზოგადი განყოფილებებისთვის - მორგებული სხვადასხვა მოდულების შესაძლებლობით;</li> <li>- განგაშის შეტყობინების ადვილად სამართავი ალგორითმითა და განგაშის სიგნალის პაციენტის ინდივიდუალურ მოთხოვნებთან ადაპტირების სისტემით</li> </ul>

ფასების ცხრილი

1	2	3	4	5	6	7
N°	Description of Goods საქონლის დასახელება	Country of Origin მწარმოებელი ქვეყანა	Delivery Date as defined by Incoterms მიწოდების ვადა	Quantity and physical unit რაოდენობა	Unit price ერთეულის ფასი ადგილზე მიწოდების გათვალისწინებით.	Total Price per Line item (Col. 7+8) მთლიანი ფასი
1	პაციენტების მონიტორინგის ცენტრალური სისტემა <i>(Patient Central Monitoring System)</i>			4		

სატენდერო პროცედურების გამოცხადებისას პრეტენდენტის მიმართ განსაზღვრული იქნება შემდეგი მინიმალური მოთხოვნები:

- მონაწილე ორგანიზაციას უნდა გააჩნდეს მინიმუმ სამი წლის გამოცდილება სამედიცინო დანიშნულების პროდუქციის მიწოდების.
- მსგავსი სამედიცინო დანიშნულების პროდუქციის მიწოდების თაობაზე შესრულებული წარმატებული ხელშეკრულებები, .
- მომწოდებელმა უნდა წარმოადგინოს მწარმოებელი ქვეყნის სერთიფიკატი.